2021 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

Supported by
Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანალიზი მომზადებულია პროექტის - „კარგი მმართველობის გაძლიერება საქართველოში 3G“ - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს საქველმოქმედო ორგანიზაციის პოზიციას.

ძირითადი მიგნებები

- 2021 წელს სულ დარეგისტრირდა 56,343 დანაშაული, რაც 0.45%-ით ნაკლებია 2020 წლის მაჩვენებელზე.
- 2021 წელს, მიუხედავად დანაშაულის საერთო რაოდენობის მცირედით შემცირებისა, ცალკეული დანაშაულის შემთხვევებმა იმატა. მაგალითად, საფინანსო საქმიანობის სფეროს დანაშაულები (+275%), გაუპატიურება (+56%), , ნარკოტიკული დანაშაული (+12%), მუქარა (+11%), ყალბი დოკუმენტების დამზადება (+21,58%).
- 2021 წელს იზოლაციისა ან/და კარანტინის წესის დარღვევისთვის სისხლის სამართლის დანაშაულის 1,637 შემთხვევა დარეგისტრირდა.
- 2021 წელს ჩადენილი მძიმე დანაშაულების რიცხვი უმეტესწილად შემცირებულია. მაგალითად, სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები 15.46%-ით არის შემცირებული.
- 2020 წლის მსგავს ნიშნულზეა შენარჩუნებული საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები. მაგალითად, 2021 წელს აღირიცხა ყაჩაღობის ანალოგიური რაოდენობა, რაც 2020 წელს ქურდობის მაჩვენებელი შემცირდა 5.76%-ით, ძარცვის შემთხვევები შემცირდა 4.49%-ით, ხოლო თაღლითობის შემთხვევები გაიზარდა 22.91%-ით.
- 2021 წელს კომპიუტერული დანაშაულები 48%-ით (1,029-ით ნაკლები შემთხვევა) შემცირდა, ხოლო მათი გახსნის მაჩვენებელი დაახლოებით 10%-ით გაიზარდა.
- 2021 წელს დანაშაულის თითქმის ნახევარი - 49.8% გაიხსნა, რაც 2018-2020 წლების მაჩვენებლებს დაახლოებით 14%-ით აღემატება. გახსნის მაჩვენებელი მიუახლოვდა 2017 წლის მაჩვენებელს (53.2%), როდესაც მნიშვნელოვანი კითხვები არსებობდა სტატისტიკის წარმოების სანდოობასთან დაკავშირებით.
- 2020-2021 წლებში, 2019 წელთან შედარებით, დანაშაულის რიცხვის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში ქვეყანაში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ და კომენდატის საათმა.
- კომენდატის საათი საწყის ეტაპზე დანაშაულის შეკავების უფრო მაღალი ეფექტით გამოირჩეოდა. მაგალითად, 2020 წლის აპრილის თვეში დანაშაულის რიცხვი 37%-ით ნაკლები იყო, ხოლო 2021 წლის აპრილის თვეში მხოლოდ 4%-ით ნაკლები იყო 2019 წლის იგივე თვესთან შედარებით (როგორც 2021 წლის, ასევე 2020 წლის აპრილი თვეში მოქმედებდა კომენდატის საათი).
- 2020-2021 წლების წინასაარჩევნო პერიოდებში დანაშაული რიცხვი დაახლოებით 16%-ით იკლებდა, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ამ პერიოდში გარკვეული დანაშაულების მიმართ კონტროლის შესუსტებასთან. მაგალითად,

ნარკოტიკული დანაშაული 2020 წლის ოქტომბერში (31 ოქტომბერი საპარლამენტო არჩევნები) 80%-ით, ხოლო 2021 წლის სექტემბრის (2 ოქტომბერი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები) თვეში 70%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ თვეებთან შედარებით.

შესავალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის ყოველთვიური პროაქტიული გამოქვეყნება 2018 წელს დაიწყო. ამავე წლიდან სამინისტროს განმარტებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დანაშაულის აღრიცხვიანობის სისტემაც, რაც აჩენდა წინა წლებში ე.წ. შელამაზებული სტატისტიკის წარმოების და ურთიერთგამომრიცხავი მონაცემების გამოქვეყნების პრაქტიკის დასრულების მოლოდინს. მსგავს მოლოდინებს მნიშვნელოვნად ამყარებდა სტატისტიკის აღრიცხვიანობის გაუმჯობესების შედეგად გამოქვეყნებული მონაცემების შინაარსიც, რომელიც რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის მკვეთრ მატებას და გახსნის მაჩვენებლის მკვეთრ შემცირებას ასახავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით, IDFI უკვე არაერთი წელია აანალიზებს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკას. გარდა ამისა, გასულ წელს IDFI-მ შეაფასა რეგისტრირებულ დანაშაულზე პანდემიის გავლენაც, რაც კრიმინოგენური მდგომარეობის გაურესების მნიშნელოვან საფრთხეს შეიცავდა. კერძოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომაროების გაურესება, სამუშაო ადგილების მასიური შემცირება და ა.შ. აჩენდა დანაშაულის, განსაკუთრებით ეკონომიკური დანაშაულის მატების მნიშვნელოვან რისკს. ამასთან, 2020 წელს, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით პანდემიასთან ბრძოლის სპეციფიკა, უამრავი ადამიანის პოტენციურ მოძალადესთან ერთ სივრცეში იზოლირებას განაპირობებდა. თუმცა, 2020 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებდა, რომ პანდემიასთან ბრძოლის სპეციფიკა, წარმოადგენდა დანაშაულთან ბრძოლისთვის დამატებით მექანიზმს და დანაშაულის ჩადენისათვის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს. მაგალითად, საგანგებო მდგომარეობის შემოღება, კომენდატის საათი, ხალხმრავალი ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა და ა.შ. წარმოადგენდა დანაშაულის შემაკავებელ მნიშვნელოვან ფაქტორს, რამაც ხელი შეუწყო 2020 წელს დანაშაულის საერთო მაჩვენებლის შემცირებას.

წინამდებარე დოკუმენტში გაანალიზებულია დანაშაულის 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები და ცალკეული დანაშაულების მიხედვით, ბოლო სამი წლის ტენდენციები.

გასული წლის მსგავსად, ასევე მიმოხილულია რეგისტრირებულ დანაშაულებზე პანდემიის გავლენა.

რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის ანალიზი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2021 წელს სულ დარეგისტრირდა 56,343 დანაშაული, რაც უმნიშვნელოდ 0.45%-ით ნაკლებია 2020 წლის მაჩვენებელზე.

სამინისტროს მონაცემებით, 2021 წელს რეგისტრირებული დანაშაულის დაახლოებით იმავე ნიშნულზე შენარჩუნების ფონზე, მნიშვნელოვნად **გაიზარდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი**. კერძოდ, 2021 წელს დანაშაულის თითქმის ნახევარი - 49.8% გაიხსნა, რაც 2018-2020 წლების მაჩვენებლებს დაახლოებით 14%-ით აღემატება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2021 წლის გახსნის მაჩვენებელი კვლავ მიუახლოვდა 2017 წლის მაჩვენებელს (53.2%), როდესაც მნიშვნელოვანი კითხვები არსებობდა სტატისტიკის წარმოების სანდოობასთან დაკავშირებით.

გრაფიკი 1: რეგისტრირებული დანაშაული



2021 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სრულფასოვანი ანალიზისთვის, მნიშვნელოვანია დანაშაულის კატეგორიების მიხედვით არსებული ტენდენციების ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, რეგისტრირებული დანაშაულის საერთო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, სხვადასხვა დანაშაულის ჯგუფების მიხედვით განსხვავებული ტენდენცია ფიქსირდება. ამასთან, 2021 წელს რეგისტრირებული დანაშაულის საერთო მაჩვენებელის განსაზღვრაში გარკვეული როლი ითამაშა 2020 წლის 2 მაისიდან სისხლის სამართლის კოდექსში 248[1] მუხლის დამატებამ, რომლის მიხედვით იზოლაციისა ან/და კარანტინის წესის განმეორებითი დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომად განისაზღვრა შინაპატიმრობა, ექვსი თვიდან ორ წლამდე ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. 2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ დანაშაულის საკმაოდ ბევრი 1,637 შემთხვევა დარეგისტრირდა, რაც დაახლოებით 18-ჯერ მეტია წინა წელს დარეგისტრირებულ ოდენობასთან შედარებით.

2021 წელს თვალსაჩინო **ზრდა დაფიქსირდა საფინანსო საქმიანობის სფეროს დანაშაულებზე (+275%)**, რომელიც აერთიანებს, საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან, ეროვნული ვალუტის გამოყენებასთან, გადასახადისათვის თავის არიდებასთან და სხვა ამ სფეროსთან დაკავშირებულ დანაშაულებს. წინა წელთან შედარებით, ასევე მნიშვნელოვნად **გაიზარდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ რეგისტრირებული დანაშაულები (+55%).** მათ შორის, გაუპატიურების შემთხვევები 56%-ით (61 შემთხვევით მეტი) გაიზარდა.

2021 წელს ასევე, **მატება ფიქსირდება ნარკოტიკული დანაშაულის (+12%), სამოხელეო დანაშაულის (+11.35%), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (+16%) და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი (+9.27%) დანაშაულების ჯგუფების** მიხედვით. მათ შორის, მაგალითად მუქარის შემთხვევები გაიზარდა 11%-ით, ყალბი დოკუმენტების დამზადება +21.58%, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება +35.48%.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული სტატისტიკის მიხედვით, 2021 წელს ჩადენილი **მძიმე დანაშაულების რიცხვი უმეტესწილად შემცირებულია.** მაგალითად, სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები 15.46%-ით არის შემცირებული. მათ შორის, განზრახ მკვლელობა (-13.21%), თვითმკვლელობამდე მიყვანა (-17.66%).

დაახლოებით წინა წლის მსგავს ნიშნულზეა შენარჩუნებული საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები. მაგალითად, 2021 წელს აღირიცხა ყაჩაღობის შემთხვევების ანალოგიური რაოდენობა, რაც 2020 წელს, ქურდობის მაჩვენებელი შემცირდა 5.76%-ით, ძარცვის შემთხვევები შემცირდა 4.49%-ით, ხოლო თაღლითობის შემთხვევები გაიზარდა 22.91%-ით.

2021 წელს კლების თავლსაზრისით, გამორჩეულია **კომპიუტერული დანაშაულები, რომელიც წინა წელთან შედარებით 48%-ით (1,029-ით ნაკლები შემთხვევა) შემცირდა,**

ხოლო მისი გახსნის მაჩვენებელი 9.6%-დან 19.7%-მდე გაიზარდა. მიუხედავად გახსნის მაჩვენებლის გარკვეული ზრდისა, კომპიუტერული დანაშაულების შემცირების ერთ-ერთ ფაქტორად შესაძლებელია განხილულ იქნას მსგავს დანაშაულებზე მოქალაქეების საგამოძიებო უწყებებისთვის მიმართვიანობის შემცირება, რაც წლების განმავლობაში მსგავსი დანაშაულის გახსნის დაბალი მაჩვენებლით და არასასურველი შედეგის მოლოდინით იყოს განპირობებული.

გრაფიკი 2: რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებლები დანაშაულის ჯგუფების მიხედვით	წლიური ზრდა



გრაფიკი 3: სხვადასხვა რეგისტრირებული დანაშაულის %-ული მატება/კლების მაჩვენებლები გასულ წელთან შედარებით



2021 წელს, კომპიუტერული დანაშაულის მსგავსად, დანაშაულების უმრავლესობის შემთხვევაში შეინიშნება **გახსნის მაჩვენებლის მნიშნელოვანი ზრდა.** მაგალითად, **ქურდობის დანაშაულის,** რომელსაც მნიშვნელოვანი წილი უკავია რეგისტრირებულ საერთო დანაშაულის რიცხვში, გახსნის მაჩვენებელმა 2021 წელს შეადგინა 34.5%, მაშინ როდესაც 2018-2020 წლებში ანალოგიური მაჩვენებელი 23%-ს არ სცდებოდა. ასევე, მაგალითად თაღლითობის გახსნის მაჩვენებელი 2021 წელს შეადგენს 43.98%-ს, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს (21.03%).

გრაფიკი 4: ქურდობის გახსნის მაჩვენებლები



2020-2021 წლებში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის თვეების მიხედვით ანალიზი აჩვენებს, რომ 2019 წელთან შედარებით, დანაშაულის რიცხვის **შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია** პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში ქვეყანაში გამოცხადებულმა **საგანგებო მდგომარეობამ, კომენდატის საათმა და სხვადასხვა შეზღუდვებმა.** იმ თვეების ანალიზი, როდესაც მოქმედებდა კომენდატის საათი აჩვენებს, რომ მსგავსი ტიპის შეზღუდვა საწყის ეტაპზე დანაშაულის შეკავების უფრო მაღალი ეფექტით გამოირჩეოდა. მაგალითად, 2020 წლის აპრილის თვეში დანაშაულის რიცხვი 37%-ით ნაკლები იყო, ხოლო 2021 წლის აპრილის თვეში მხოლოდ 4%-ით ნაკლები იყო 2019 წლის იგივე თვესთან შედარებით. ასევე, 2020 წლის მაისის თვეში 26%-ით ნაკლები იყო, ხოლო 2021 წლის მაისის თვეში 10%-ით ნაკლები იყო 2019 წლის იგივე თვესთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს შემზღუდავი ღონისძიებები დანაშაულის შეკავების კუთხით ნაკლები ეფექტის მომტანი იყო, მისი ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნებამ ხელი შეუწყო 2021 წლის კრიმინოგენური მდგომარეობის დაახლოებით 2020 წლის მსგავს ნიშნულზე შენარჩუნებას. 2021 წელს პანდემიის მართვასთან დაკავშირებული გარკვეული შემზღუდავი ღონისძიებები ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში მოქმედებდა, მათ შორის კომენდატის საათი საწყისი 6 თვის განმავლობაში უწყვეტად.

გრაფიკი 5: დანაშაულის სტატისტიკა თვეების მიხედვით



პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების გარდა, დანაშაულის სტატისტიკასთან გარკვეული **გავლენა აქვს წინასაარჩევნო პერიოდს.** კერძოდ, თვეების მიხედვით მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ როგორც 2020 წელს, ასევე 2021 წელს **დანაშაულის რიცხვის შემცირება ემთხვევა წინასაარჩევნო პერიოდს.** მაგალითად, 2020 წლის ოქტომბრის თვეში (საპარლამენტო არჩევნები გაიმართა 31 ოქტომბერს) დანაშაულის რიცხვი წინა წელთან შედარებით შემცირდა 16%-ით, ხოლო 2021 წლის სექტემბრის თვეში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა 2 ოქტომბერს), 2020 წელთან შედარებით, შემცირდა ასევე 16%-ით. წინასაარჩევნო პერიოდში დანაშაულის რიცხვის კლება, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს წინასაარჩევნო პერიოდში გარკვეული დანაშაულების მიმართ კონტროლის შესუსტებასთან. მაგალითად, ნარკოტიკული დანაშაული 2020 წლის ოქტომბერში 80%-ით, ხოლო 2021 წლის სექტემბრის თვეში 70%-ით შემცირდა, 2019 წლის ანალოგიურ თვეებთან შედარებით.

გრაფიკი 6: ნარკოტიკული დანაშაულის სტატისტიკა თვეების მიხედვით



პანდემიამ და კარანტინის ფარგლებში მოსახლეობის იზოლირებამ გლობალურ გამოწვევად აქცია ოჯახში ძალადობის შემთხვევების მატება. 2021 წელს რეგისტრირებული **ოჯახში ძალადობის შემთხვევები,** წინა წელთან შედარებით, **8%-ით შემცირდა.** აღნიშნული მაჩვენებელი ასევე ჩამოუვარდება პანდემიამდე არსებულ ნიშნულს. თვეების მიხედვით მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ 2021 წელს კომენდატის საათის მოქმედების პირობებში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის შემთხვევები იზრდებოდა, ხოლო იმავე წლის ივნისის თვიდან შესამჩნევია შემთხვევათა კლების ტენდენცია.

გრაფიკი 6: ოჯახში ძალადობის შემთხვევები



დასკვნა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის ანალიზით ირკვევა, რომ 2021 წელს დანაშაულის რიცხვი შენარჩუნდა დაახლოებით 2020 წლის ნიშნულზე. 2021 წლის დანაშაულის საერთო მაჩვენებელზე, წინა წლის მსგავსად, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში დაწესებულმა შემზღუდავმა ღონისძიებებმა. მიუხედავად იმისა რომ, 2021 წელს შემზღუდავი ღონისძიებები დანაშაულის შეკავების კუთხით ნაკლები ეფექტის მომტანი იყო, მისი ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნებამ ხელი შეუწყო 2021 წლის კრიმინოგენური მდგომარეობის დაახლოებით 2020 წლის მსგავს ნიშნულზე შენარჩუნებას. ამასთან, როგორც 2020, ასევე 2021 წელი წარმოადგენდა საარჩევნო წელს, შედეგად წინასაარჩევნო პერიოდებში ცალკეული დანაშაულების მიმართებით საპოლიციო კონტროლის შემსუბუქება თანაბრად აისახა ორივე წელზე. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ, პანდემიის პერიოდში დანაშაულის რიცხვის კლება დაკავშირებულია ზემოთ განხილულ ფაქტორებთან და ნაკლებად კავშირშია ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

IDFI მიიჩნევს, რომ დანაშაულის საერთო მაჩვენებლის შემცირების ფონზე, ისეთი დანაშაულების მკვეთრი მატება, როგორიცაა გაუპატიურება, საფინანსო სფეროს საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულები და სხვა, მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს. ამასთან, პოსტპანდემიურ პერიოდში, დროებითი შეზღუდვების გაუქმების შემდეგ, არსებობს ნეგატიური მოლოდინები ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის

გაუარესებასთან დაკავშირებით, რასთან ბრძოლა მოითხოვს შესაბამისი უწყებების განსაკუთრებული ძალისხმევას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2021 წელს დანაშაულის 49.8% გაიხსნა, რაც უკანასკნელ წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. IDFI იმედს გამოთქვამს, რომ 2021 წელს დანაშაულის გახსნის მაჩვენებლების მკვეთრი ზრდა განპირობებულია დანაშაულთან ბრძოლის კუთხით გაზრდილი ძალისხმევით და არ არის დაკავშირებული სტატისტიკის ე.წ. შელამაზების მანკიერი პრაქტიკის დაბრუნებასთან.

.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20 +995 32 2 921514 INFO@IDFI.GE WWW.IDFI.GE